ხელშეკრულება N 22

[საინფორმაციო მომსახურების შესახებ]

დაბა შუახევი 04 თებერვალი 2019 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, დაბა შუახევის მუნიციპალიტეტი შემდგომში „დამკვეთი“ წარმოდგენილი მისი მერის ფრიდონ ფუტკარაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს “პირველი ნიუსი - საქართველო”**(ს/კ:445471230, იურ.მისამართი: ქ.ბათუმი, აფხაზეთის№9, ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №40), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი მანაგაძის (შემდგომში „შემსრულებელი“) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საინფორმაციო მომსახურებაზე. ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება.

1.2. CPV 92400000 - ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები

2. **დაკვეთის სახე**

2.1. ახალი ამბების განთავსება შემსრულებლის კუთვნილ საინფორმაციო პორტალ „ფაქს ნიუსზე“ www.fax.ge www.faxinter.news ბონუსად უსასყიდლოდ განთავსება შემსრულებლის კუთვნილ ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსზე“ www.epn.ge

2.2 დამკვეთის მიერ მოწოდებული სტატიის გამოქვეყნება, ახალი ამბების, პრეს რელიზების და ანონსების მიღება დამუშავება გავრცელება საინფორმაციო პორტალ „ფაქს ნიუსის“ ვებ გვერდზე www.fax.ge ასევე ეკონომიკურ პორტალ „ეკონომიკზე“ www.economic.ge

2.3 ახალი ამბების, ინტერვიუს ან სტატიების საინფორმაციო პლადფორმებზე გათავსება არის ულიმიტო დამკვეთის შეხედულებისამებრ

2.4 ახალი ამბავის, სტატიის ან ინტერვიუს შინაარსზე პასუხისმგებელია დამკვეთი

- საიტზე სტატია, პრეს-რელიზი ან ახალი ამბავი აღინიშნება ® ან NS ნიშნით.

3. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

3.1.*შემსრულებელი ვალდებულია:*

3.1.1. დროულად, წინასწარ შეათანხმოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დეტალები და შეთანხმებულ ვადაში გაუწიოს დამკვეთს მომსახურება.

3.1.2. შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი დამკვეთთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს დამკვეთთან შეთანხმებულ სარეკლამო მასალებში.

3.1.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს შეუთანხმოს ხელშეკრულებით შესასრულებელი მომსახურების დეტალები.

3.1.5. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მომსახურების ფასის გადახდა.

3.1.6. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მოუმზადოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ.
3.1.7. შემსრულებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გავრცელების დროს, ადგილს ან საშუალებას.

3.2. დამკვეთი ვალდებულია;

3.2.1. დამკვეთი ვალდებულია დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ის ინფორმაცია და მასალა რაც შემსრულებელს სჭირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების უზრუნველსაყოფად.
3.2.2. დამკვეთმა მზა სარეკლამო ბანერი და ლინკი შემსრულებელს უნდა მიაწოდოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. შემდეგ მისამართზე: mediafondi@gmail.com-ზე
3.2.3. გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასი დათქმულ ვადასა და დროს.
3.2.4. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.
3.2.5.დამკვეთის მიერ მოწოდებულ მასალებში არ უნდა იყოს სხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხი გაცემული; კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ბრალდებები ან/და მათზე პასუხი; ასევე სხვადასხვა ჯგუფის დისკრედიტაცია.

4. საინფორმაციო მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

4.1. ერთი თვის საინფორმაციო მომსახურების დაკვეთის ღირებულება შეადგენს 200 **(ორასს)** ლარი.მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გაუწიოს 6 თვის მომსახურება.
4.2. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შესადგენს 1200 ლარს
4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.4. გადახდა ხორციელდება წინასწარ 10 კალენდარული სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება ხორციელდება შპს „შპს პირველი ნიუსი - საქართველოს“ საბანკო ანგარიშზე: სს ”თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა **GE41 TB70 8983 6080 1000 07**

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 04 თებერვლიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

6. ფორს-მაჟორული გარემოებები

6.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემკვეთის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7. სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარის მიერ.

7.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა პირს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები.

7.4. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

8.1. დამკვეთი: დაბა შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

8.2. შემსრულებელი: შპს „პირველი ნიუსი - საქართველო“ **საქართველო”**(ს/კ:445471230, იურ.მისამართი: ქ.ბათუმი, აფხაზეთის№9, ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №40)

შემსრულებელი:	**დამკვეთი:**
შპს „პირველი ნიუსი - საქართველო“	შუახევის მერია დაბა შუახევი. თამარ მეფის N 30 მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 247865145
დირექტორი	მერი ფრიდონ ფუტკარაძე
ირაკლი მანაგაძე	

shuakhevi municipality

Digitally signed by shuakhevi municipality
Date: 2019.02.04 17:57:38 +04'00'

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი 04 თებერვალი 2019 წელი

ვადასტურებ , რომ შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერი **ფრიდონ ფუტკარაძე**